პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (7239)

15 1982 წ. სექტემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საერთაშორისო ტურნირი ველოსპორტში — „6 დღე თბილისში"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკომიტეტიდან გვაცნობეს

## 12 სექტემბერს, მორბენლის საკავშირო დღეს სტარტზე (წინასწარი მონაცემებით) გამოვიდა:

## რესპუბლიკაში 1 მილიონ 200 ათასი ადამიანი

თბილისში — 250.000

ქუთაისში — 84.000

ზუგდიდში — 14.000

ახალქალაქში — 10.500

თერჯოლაში — 9.760

ორჯონიკიძეში — 6.700

სამტრედიაში — 4.000

ონში — 3.600

წულუკიძეში — 2.500

ცნობების მიღება ადგილებიდან გრძელდება.

●

იხ. მე-2-3 გვ.



გუშინწინ თბილისის ცენტრალურმა ველოდრომმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი ველოსიპედისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს. ამ ასპარეზობას უკვე მეცხრე წელიწადია მასპინძლობს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი.

ამ ტურნირმა იმთავითვე მიიპყრო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საუკეთესო ათლეტთა ყურადღება და ოფიციალური აღიარებაც ჰპოვა, როცა ფიაკ-ისა (ველოსპორტის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაცია) და უსი-ს (ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი) შეჯიბრებათა კალენდარში დამკვიდრდა. თბილისის ტრეკზე არაერთ საქვეყნოდ ცნობილ ველოსიპედისტს უასპარეზია; სხვადასხვა დროს აქ გამოდიოდნენ პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გდრ-ის საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

დღეს კი ასპარეზობის სტუმრები არიან საზღვარგარეთელი ველომრბოლელები დანიიდან, პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები. ექვსი დღის განმავლობაში სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ჯგუფურ რბოლასა და სპრინტში. სპრინტში იწყობა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც უძლიერეს რვა საუკეთესო სპრინტერთა შორის ორი ახალგაზრდა პერსპექტიული მრბოლი — სპორტკლუბ „ივერიის" წარმომადგენლები ო. მჭედლიშვილი და მ. სურმავა გამოდის. ორდღიან სპრინტერულ რბოლაში მათ გამოცდილ მეტოქეებთან ჭიდილში შესაბამისად მეშვიდე და მერვე ადგილები დაიკავეს. პირველი მეოთხე ადგილებისთვის ბრძოლა კი გააგრძელეს ა. ნეკრასოვმა და სსრ კავშირის ხალხთა გასული სპარტაკიადის ჩემპიონმა ს. ქურაველიძემ, ვ. ალხოვმა (ყველა „დინამო") და ბურევესტნიკელმა ა. ტრიუხინმა.

ჯგუფურ რბოლაში კი მთავარ ფავორიტად თვლიან ახლახან ერევანში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულ დანიელ სპორტსმენს მ. მარკუსენს.

* * *

სურათზე: სპრინტერები ასპარეზობის დროს.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## შინ და

დღეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე ევროპის საკლუბო გუნდების ერთ-ერთ პოპულარულ ასპარეზობაში — უეფა-ს თასის გათამაშებაში ჩაებმებიან თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. ისინი ოცდამეთორმეტედფინალის პირველ მატჩში უმასპინძლებენ იტალიის ქალაქ ნეაპოლის გუნდს „ნაპოლის".

სურათებზე: „ნაპოლის" ფეხბურთელები თბილისის აეროპორტში; იტალიელი ფეხბურთელები თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გუშინდელი ვარჯიშის დროს.

ა. კოტორაშვილისა და კ. შანიძის ფოტოები.



## გარეთ

დღესვე ევროპის სტადიონებზე გაიმართება კონტინენტის საკლუბო გუნდების ტურნირები, რომლებშიც გამოდიან ჩვენი ქვეყნის კოლექტივებიც. კიევის „დინამო" ჩემპიონთა თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში სტუმრად შეხვდება შვეიცარიის „გრასჰოპერსს". თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კი მოსკოვის „ტორპედო" მიიღებს ცნობილ დასავლეთგერმანიის საკლუბო გუნდს — „ბავარიას".

უეფა-ს თასის მონაწილე მეორე საბჭოთა გუნდი მოსკოვის „დინამო" ეთამაშება პოლონეთის „შლიონსკს."









## დღეს:

15 სექტემბერს, 16 საათზე თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი.

●

(მასალები ამ შეჯიბრების შესახებ იხ. მე-2 გვ.)

## შთამბეჭდავი სათამაშო

(heading as printed: შჰანასჰნმლ საათს)

გუშინ მოსკოვში უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის პირველ მატჩში ადგილობრივმა „სპარტაკმა" მიიღო ინგლისის პოპულარული გუნდი „არსენალი". შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურ[თელ]ების გამარჯვებით — 3:2 (1:...

